თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

დაფიქრდით, რას აკეთებთ!

იხილეთ მე-2 გვ.

ქუთაისში ტურისტებს პრობლემებს უქმნის საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა

იხილეთ მე-2 გვ.

№6 (786) 30 ივლისი, 2018 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ჩადრს ჩამოფარებული ქალთა უფლებები

გვანცა თოთაძის აფრიკული ბლოგი

ჩვენთან ქალთა უფლებები დაცულია.
ლარაჩე, მაროკო.

თევზის სუნში არეული ნარჩენების სუნი ცხვირის ნესტოს გწვავს. ატლანტიკის ოკეანიდან წამოსული სუსხი ვიწრო ქუჩებში მოქცეულ მძაღე ჰაერს ყინავს. ბაქტერიებით სავსე ჰავას ნორმად იღებ და ცხვირსაც არ მალავ. ღიმილიანი სახით ათვალიერებ აფრიკულ ქალაქს. მერე ხვდები, რომ ღიმილი ქალაქში გამეფებული ცხოვრების სტილით დამძიმდა. აღარ გეღიმება. უბრალოდ ატლანტიკის ოკეანეზე ამოშენებულ მოაჯირზე ზიხარ და წინ გადაშლილ, ხალხით სავსე ქუჩას უყურებ. ქუჩაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამწკრივებულ კაფეებს ათვალიერებ და თან კაფეების შუაში მოქცეულ სასეირნო ბილიკზე გადმოგაქვს მზერა.

კაფეებში მხოლოდ კაცები, საფეხბურთო არხზე ჩართული ტელევიზორები, პიტნის ფოთლებით გაჭედილი ჩაის გათლილი ფინჯნებია;

ქუჩაში ქალები, ბავშვები და ახალგაზრდები.

კაფეში მზერით გახურებული ტელევიზორები და ჩაის ორთქლში გახვეული ოჯახის მარჩენალი მამაკაცებია;

ქუჩებში მორბენალი ბავშვები, ადიდასის მბზინავი შარვლებით თავმომწონე ბიჭები და ჰიჯაბით მოსეირნე ქალები.

ჩვენთან ქალთა უფლებები დაცულია.
ლარაჩე, მაროკო.

სწავლა აღარ უნდა განაგრძო. ტვინს გამოუყენებელი ინფორმაციით ივსებ. ერთ დღესაც ორსული დაბრუნდები. სახელმწიფო შვილს ჩამოგართმევს. შენ ოჯახს შეარცხვენ. უნდა გათხოვდე. ბიძაშენი კარგი ადამიანია. მიწაზე მუშაობა შეუძლია. მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს. მოგივლის. ბედნიერი იქნები.

ა.ა.ს, 18 წლის, დაკრძალულია სოფ. ა. /ნამდვილი ამბავი/

ლარაჩელ 28 წლის აბდულას მხარ და მხარ მივჰყვებით. ხუთნი ვართ. გოგონები სხვადასხვა ქვეყნიდან. აბდულა შუაშია. გამვლელები ადგილობრივ აბდულას ესალმებიან. შიგადაშიგ რამდენიმე მათგანმა მხარზე ხელი გამამყებული სახით მსუბუქად შემოარტყა. ჩვენ ვიღიმით და აბდულას ვთხოვთ გვითხრას რა ხდება. ვარკვევთ რამდენად ცნობადია აბდულა ლარაჩეში. აბდულა გაღიმბული სახით მისი ოფიციალური ენიდან საერთაშორისო ენაზე ერთვება.

თურმე აბდულას აქებენ. ჰგონიათ, რომ ის გოგო, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს დგას მისი უცხოელი გელფრენდია. უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ფულიანი გოგო აბდულას ცხოვრებას მშფოთვარებას ჰმატებს. კარგი სექსი, საზღვარგარეთ დასარჩენი ადგილი, უცხო ქვეყნის შესაძლო მოქალაქეობა და ყოჩაღ აბდულა.

„ყოჩაღ აბდულა“ ამბობს, რომ მაროკოში ცოლს არ მოიყვანს. შვილებს აუცილებლად სხვა ქვეყანაში გაზრდის. უნდა, მისი შვილების ფუნდამეტალური უფლებები, რა სქესისა თუ ორიენტაციის იქნება, დაცული იყოს. თანაბარი შესაძლებლობები და თავისუფლება - ასე ემშვიდობება ხოლმე აბდულა ატლანტიკის ოკეანეში ჩასულ მზეს. დამშვიდობების ტექსტი ლოცვად ექცა.

ჩვენთან ქალთა უფლებები დაცულია.
ლარაჩე, მაროკო.

ევროკავშირის დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში ვარ. ირგვლივ 8 ქვეყნის 40 ზრდასრული ადამიანია. ყველა ქალთა უფლებებზე, LGBT და ქალების როლზე საუბრობს. შვედეთში თურმე ერთი და იმავე პოზიციაზე მომუშავე საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს სხვადასხვა ანაზღურება აქვს. ქალს დაბალი, მამაკაცს გაცილებით მაღალი ხელფასი. საბერძნეთიც იმავე გამოწვევაზე საუბრობს. იტალიამ დასაქმების კრიტერიუმებზე გაამხავილა ყურადღება. ქალი, უნივერსიტეტ დამთავრებული, სერთიფიკატებითა და გამოცდილებით სავსე - სამსახურის მიღმა რჩება თუ კონკურენტად უდიპლომო, ნაკლები კოპეტენციების მქონე მამაკაცი მაინც ჰყავს. ჩვენც, ქართველები ვაზიარებთ ინფორმაციას.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

ყველაზე რეიტინგული ქვეყნები, საიდანაც საქართველოში ტურისტები შემოდიან

2017 წლის განმავლობაში საქართველოში 7,5 მილიონი უცხოელი ვიზიტორი შემოვიდა, რაც 2016 წელთან შედარებით 1 194 433 ვიზიტორით (18.7%-ით) მეტია. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველომ ყველაზე მეტი — 1.71 მილიონი ვიზიტორი სომხეთიდან მიიღო. ვიზიტორთა განსაკუთრებით მაღალი - 164%-იანი ზრდა შეიმჩნევა საუდის არაბეთიდან, ასევე 118%-იანი ზრდა არის ირანიდან, ინდოეთიდან კი ვიზიტორთა ნაკადი 64%-ით არის გაზრდილი.

ქვეყნების რეიტინგი ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით ასე გამოიყურება:

სომხეთი - 1.71 მილიონი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 14%;

აზერბაიჯანი - 1.69 მილიონი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 11%;

რუსეთი - 1.39 მილიონი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 34%;

თურქეთი - 1.24 მილიონი ვიზიტორი, კლება წინა წელთან 0.8%;

ირანი - 322 ათასი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 118%;

უკრაინა - 193 ათასი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 10%;

ისრაელი - 125 ათასი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 35%;

ინდოეთი - 59 ათასი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 64%;

ყაზახეთი - 56 ათასი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 16%;

საუდის არაბეთი - 56 ათასი ვიზიტორი, ზრდა წინა წელთან 164%;

რამდენი იყო ამ ვიზიტორებში ტურისტი

ამ 7,5 მილიონი ადამიანიდან საქართველოში 24 საათზე მეტხანს 3.5 მილიონი ვიზიტორი დარჩა, ეს კი წინა წელთან შედარებით 28%-ით მეტია. საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, ტურისტებად სწორედ ის ვიზიტორები უნდა ჩაითვალონ, ვინც ქვეყანაში 24 საათზე მეტი ხნით რჩებიან და ქვეყნის მომსახურების სექტორს (რესტორნები, სასტუმროები და ა.შ.) იყენებენ.

ტურიზმის სექტორის შემოსავლები

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წლის პირველ სამ კვარტალში ტურიზმის სექტორის შემოსავლებმა $2.2 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2016 წელთან შედარებით 29%-ით მეტია. ტურიზმი საქართველოს მშპ-ს 7%-ს ქმნის.

სასტუმროების სტატისტიკა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2017 წლის მდგომარეობით ქვეყანაში 1.9 ათასი სასტუმროა რეგისტრირებული, ამ სასტუმროებში არსებული საწოლების რაოდენობა კი 66 ათასია. რეგიონების მიხედვით, თბილისი ლიდერობს, მასში 17.9 ათასი საწოლი ადგილია, აჭარის სასტუმროებში კი 12.1 ათასი საწოლია.

ტურიზმის სტატისტიკა წლების მიხედვით:

2007-დან 2013 წლის ჩათვლით საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა საშუალოდ 30:-ს შეადგენდა, აქედან ყველაზე მაღალი - 56:-იანი ზრდა 2012 წელს იყო. 2013 წელს ზრდამ 21: შეადგინა, 2014 წელს კი, სავიზო რეგულაციების დაწესების გამო ტურისტული ნაკადის ზრდის ტემპი დამუხრუჭდა და მან მხოლოდ 2.3% შეადგინა. ზრდის ტემპი გაუმჯობესდა 2015 წელს და ის 7: გახდა. 2016 წელს კი ზრდა 7.6% იყო, 2017 წელს ზრდის ტემპმა 18.7%-ს მიაღწია.

PS news.ge
ISSN 1987-7056

ქუთაისში ტურისტებს პრობლემებს უქმნის საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა

ქუთაისის ტურიზმის ცენტრმა ერთწლიანი ანგარიში წარადგინა.

როგორც ცენტრის დირექტორი ტატო ლილუაშვილი ამბობს „ მოვაწესრიგეთ და კომფორტული გავხადეთ შენობა ტურისტებისთვის,ამის გარდა შევძელით გადავლაგებულიყავით ევროპის მიმართულებით საერთაშორისო გამოფენებით და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის გაგვეცნო ჩვენი ქალაქის ტურისტული პოტენციალი.

წელს უკვე გვქონდა 8 საერთშორისო მედიატური,სამომავლოდ გვაქვს გეგმები, რომ გავაძლიეროთ მიმართულება საერთაშოსიო გამოფებების საშუალებით,ბოლო ექვი თვის განმავლობაში დაახლოებით 6600 ტურისტს მოვემსახურეთ".

რაც შეეხება პრობლემებს, რომელიც ტურისტებს ექმნებათ, ეს არის ძირითადად სველი წერტილების არ არსებობა და ინფრასტრუქტურული პრობლემები.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია აღნიშნავს:„ მოგეხსენებათ, ტურიზმი ჩვენი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია,ჩვენ ჩვენის მხრივ ვემზადებით ინფრასტრუქტურული მიმართულებით,ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს, რომ ტურისტებისთის უფრო მიმზიდველი იყიოს ჩვენი ქალაქი,რაც უფრო მეტ ხანს გავაჩერებთ ტურისტებს ქალაქში ,მით უფრო მომგებიანი იქნება ქალაქისათვის ."

ლიკა კაკუშაძე

სათაფლიას აღკვეთილის ტურისტული ინფრასტრუქტურა ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გაიცემა

სათაფლიას აღკვეთილის ტურისტული ინფრასტრუქტურა ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გაიცემა. ინფრასტრუქტურის სარგებლობაში გადასაცემად აუქციონი დაცული ტერიტორიების სააგენტომ უკვე გამოაცხადა.

წყალტუბოში მდებარე ინფრასტრუქტურა გარემონტებულია, მთლიანობაში შენობა 1138 კვ მეტრ ფართობს მოიცავს.

პირობების მიხედვით, ქონების სარგებლობის ყოველწლიური საზღაური არ უნდა იყოს 25 433 ლარზე ნაკლები დღგ-ს ჩათვლით. დროებით სარგებლობაში გასაცემი ქონების ღირებულება შეადგენს 1 695 523 ლარს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია დაზღვიოს სარგებლობაში გადაცემული ქონება სარგებლობის პერიოდის განმავლობაში; მან ასევე უნდა უზრუნველყოს გადაცემულ ქონებაზე საზოგადოებრივი წესრიგის, დასუფთავების და სახანძრო უსაფრთხოების დაცვა.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, უზრუნველყოს სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე მდებარე სასტუმროს და კაფეტერიის გამართული ფუნქციონირება;

აუქციონში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს 500 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება სამ წელიწადში.

დაფიქრდით, რას აკეთებთ!



ბოინთან განთავსებული 1X1000 m^3 რეზერვუარი (აშენებული და დამთავრებულია მხოლოდ აუზი 1X1000 m^3).

ქუთაისის ურბანული წყალმომარაგების საკითხი მაქსიმალურად დაიძაბა მის შემდეგ, რაც ონლაინ გამოცემით გაჟღერდა სტატია „ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტის დასრულების ვადა შეიცვალა". ნახსენებმა სტატიამ ყველაზე აქტიურად იმოქმედა იმ პროფესიონალებზე, რომლებიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ატარებდნენ აღნიშნული სამუშაოების მონიტორინგს ყველა იმ ინსტანციასთან, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული მის შესრულებაში.

ჯერ კიდევ 2015 წლის 1 ივლისს დღის 13^{00} საათზე ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (პუშკინის N6) ჩატარდა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: SMK - თურქული კომპანია, საზედამხედველო კომპანია „ეპტისა", წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის ცენტრის წარმომადგენელი. შეხვედრის მიზანი იყო დამსწრეთათვის გაეცნოთ პროექტის KUT-01-ის მოკლე შინაარსი და შეკითხვებზე გაეცათ სრულყოფილი, ამომწურავი პასუხი.

ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ტანჯვაც და წამებაც შემდეგი საკითხებიდან გამომდინარე:

1. ვერ მოხერხდა ექსპერტიზის ჩატარება პროექტისათვის;
2. არ განხორციელებულა ხმაურისა და მტვერის საინააწმდეგო ღონისძიებები გარემოს დაცვის განხრით;
3. ყველა სამუშაოს SMK იწყებდა და რატომღაც არ ამთავრებდა;
4. პროექტის თანახმად და ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით პროექტი იწყებოდა 2015 წლის 08 ივნისს და მთავრდებოდა 2018 წლის 07 ივნისს.

ყველა აღნიშნული დაპირება მოწვეული „პროფესიონალებისა" დარღვეული იქნა და შესაბამისად ჩაბარების ვადამაც გადაიწია 2018 წლის 7 ივნისიდან - 2019 წლის პირველ ნახევარში. ყოველივე ამას ხელი შეუწყო საზოგადოებასთან ურთიერთობის არქონამ, მომხმარებლებთან ურთიერთობის უარყოფამ და თავხედობამდე მისულმა თვითნებობამ, რაც თავის მხრივ უხრხულ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, იწვევს კანონმდებლობისა და შეთანხმების დარღვევას, მომხმარებლების მწყობრიდან გამოყვანას და ნამდვილად პარტნიორების მტრად გახდომას.

დღევანდელი შესრულებული სამუშაოები თვალნათლივ გვაჩვენებს იმ უხერხულობებს, რომლებიც თან ახლავს პროექტის შესრულების და წესების მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას:

1. ჰაერის მოწოდება წყალთან ერთად ცვალებადი წნევით და იმპულსურად;
2. წყლის მიწოდების გრაფიკით, დაახლოებით ძველი რეჟიმამდე მოახლოებული;
3. დუმილი ნებისმიერ საზოგადოებრივ შეკითხვაზე;
4. კონსტიტუციური ნორმის დარღვევა (მუხლი 8. სახელმწიფო ენის შესახებ...") მოხსენებითი ბარათების მომზადებისაც;
5. ნებისმიერი საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების გარეშე, შეუტყობინებლად, ჩაურთველად;
6. ისეთი სამუშაოებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რომლებიც მოითხოვენ მაღალი კვალიფიკაციას და კვალიფიციურ მუშახელს (მდინარე რიონის ფსკერის გახვრეტა მილის გასაყვანად).

SMK-ს მოღვაწეობამ საქართველოში და შესაბამისად მათმა შექმნილმა მდგომარეობამ თვალნათლივ დაგვარწმუნა საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მუხლი 16-ის, პუნქტი თ)-ს დაუყოვნებლივ განხორციელებაში, ყველა მუნიციპალიტეტში მისის აღსრულების სასწრაფოდ და მაღალი პასუხისმგებლობის მიხედვით, შედეგებზე ორიენტირებით. დაფიქრდეს ის საზოგადოება ვისი პროფესიონალური, მორალური და ეროვნული პასუხისმგებლობაცაა ურბანული მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხის გამართვა მთელს საქართველოში.

დაფიქრდით, რას არ აკეთებთ!

აქ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო წყალმომარაგების არსებული წყაროების ათვისებას, არამედ ახალი შესაძლებლობების ძიებას, იაფფასიან მოწოდებას და დენის ჯარჯვის შემცირებას - მოკლედ წყლის თვითდინებით მიწოდებას განვითარებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე თუ არა დასავლეთ საქართველოში მაინც. აქ ნამდვილად საჭიროდ ვთვლით ამ უკანასკნელის დაწყებას იმერეთის რეგიონიდან - ზემოდან ქვემოთ.

ბოლოს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ბატონი ზაზა სიხარულიძის ინტერვიუზე, სადაც ყველაფერი საერთო ციფრებში, ფრაზებში და წინააღმდეგობებშია მოქცეული, ისევე როგორც ძველებურად, კონკრეტული და გასაგები იფორმაცია იქ არ არის საქმეში ჩახედული ადამიანისთვის. ვერ გავიგეთ რას ნიშნავს „დამატებითი სამუშაოები", „მეორე ეტაპი" და კიდევ რამდენი ეტაპია მოსალოდნელი პროექტის მთლიანი შესრულების ან დამთავრებული პროცესის მისაღებად. აქ ჩვენ ეჭვი გაგვიჩნდა, რომ ქუთაისისთვის გამოყოფილ თანხას, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მოიაზრებს იქ სადაც მას სურს.

ასოციაცია ასა-ს თავმჯდომარე
ზაზა ხელაძე
ქუთაისი, ივლისი
2018 წელი

„ სტატია დამუშავდა პროექტის "ქუთაისელი ამომრჩევლების შეხედულება თვითმმართველობისადმი" ფარგლებში, რომელიც სრულდება იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით, რასაც დიდი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ.

ჩადრს ჩამოფარებული ქალთა უფლებები

პირველი გვერდიდან

მათ შორის ასაკობრივ დისკრიმინაციასაც ვეხებით. კვოტირების მექანიზმზეც ვთქვით და ქალის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობაც ვახსენეთ.

ერთ ხურჯინში არეული ამბები ყოველდღე ლანგარზე: სტერეოტიპი, მითი, რეალობა - ცალცალკე ლაგდებოდა. თემის დახურვის შემდეგ ხასიათის შესამსუბუქებლად "ამთის", "იმთის" ამბებსაც შევეხებოდით და დასაძინებლად ოთახებში ვნაწილდებოდით. ატლანტიკის ოკეანეზე ჩასვენებულ მზეს ფარდაგადაწეულ ფანჯარას ვუტოვებდით.

ჩვენთან ქალთა უფლებები დაცულია.

ლარაჩე, მაროკო.

ნიქაბი, ბურკა, ჩალმა. ცხოვრების სტილი. ცხვირის ამწველი სუნი. გაყინული ღიმილი. ამღვრეული თვალები. ნორმად ქცეული მორჩილება. დუმილში დაკარგული ქალის ხმა. ხვდები, რომ მხოლოდ ლარაჩეში არ აქვს ქალთა უფლებებს ჩადრი ჩამოფარებული. ჩადრ ჩამოფარებული ქალთა უფლებები გვაერთიანებდა ჩვენ, 8 ქვეყანას, სხვადასხვა ტრადიციებისა და რელიგიის მატარებელ ადამიანებს. ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელებიც უფლებათა თემაზე სასაუბროდ შევიკრიბეთ ლარაჩეში. შენ კი ხვდები, რომ ამ ქალაქის (ლარაჩე) ქუჩებში გამეფებული მძაღე სუნი შენთვის კარგად ნაცნობია. ხვდები, რომ ჩადრი ის სიმბოლიკაა, რომელმაც მსოფლიოს ყველა კუთხეში ქალთა უფლებები შემოსა.

დეჟავუ.

ჩადრს ჩამოფარებული ქალთა უფლებები.

საქართველო.

ბარბარე ჯორჯაძე: "საზოგადოთ იმ დროს, ქალებს ძალიან ადრე ათხოვებდნენ და მეც ისეთი პატარა ვიყავი, ჯვარს რომ გვწერდნენ, თამაშობა მეგონა". ბარბარე 12 წლის ასაკში გაათხოვეს. ჯორჯაძე ქართველ ქალთა დაჩაგრულ მდგომარეობაზე მე-19 საკუნეში საუბრობდა.

ეკატერინე გაბაშვილი: „მე არ დავუმორჩილდი საზოგადო ხვედრს დედაკაცისას, ყმობას და თავშეწირვას კერისას. ამისთვის დიდი ბრძოლა დამჭირდა, მაგრამ ბრძოლისათვის ცოტაოდენი ძალაც შემწევდა." ეკატერინეს როლი, ქართველ ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლაში ძალიან დიდია. ეს იყო ქალი, რომელმაც პირველმა აღძრა ქალთა განათლების საკითხი საზოგადოებაში.

კატო მიქელაძე: „საქართველოს მოქალაქენო! ისტორიამ არ იცის უფრო სამარცხვინო მოვლენა, როგორიც არის თავისი უცნაური შედეგით მონობა დედაკაცისა. უდიდესი უბედურება ერისა და კაცობრიობისა არის დავიწყება და უყურადღებობა დედრობითი (!) სქესის ბუნებრივი და მოქალაქური უფლებისა, თქვენ, რომელნიც ებრძვით ძალმომრეობას, იმ ძალმომრეობას, რომელმაც პირველად დედაკაცის ადამიანური პიროვნება დაამონავა". ბოლშევიკურმა ეპოქამ, კატო მიქელაძე ბურჟუაზიული გარყვნილების მაგალითად მონათლა.

ჩადრს ჩამოფარებული ქალთა უფლებები.

საქართველო.

2017 წლის 1 იანვრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო ქალთა მკვლელობის 22 ფატქზე (მათ შორის, 13 ფაქტი ოჯახური დანაშაულის ნიშნებს შეიცავს) და ქალთა მკვლელობის მცდელობის 11 ფაქტზე (მათ შორის, 8 ფაქტი ოჯახური დანაშაულის ნიშნებს შეიცავს);

2018 წლის იანვარი-თებერვალი-მარტის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ოჯახური დანაშაულის ბრალდებით 855 პირი დააკავა, სამართალდამცველებმა მსხვერპლთა დაცვის მიზნით შემაკავებელი ორდერი 1402 პირის მიმართ გამოსცეს;

ზვიად დევდარიანის გახმაურებული საქმე - სექსუალური შევიწროება;

„ორსულთა ბრძოლა" – აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოში ფეხმძიმე ქალი სამსახურიდან გაუშვეს. „უღირსი საქციელი" და „საჯარო სამსახურის დისკრედიტაცია" – ეს ჩაწერა სამმართველოს უფროსმა, ვახტანგ წულაძემ იმ ქალის გათავისუფლების ბრძანებაში, რომელმაც მანამდე ხელმძღვანელთან თანამშრომელი სექსუალურ ძალადობაში ამხილა. გათავისუფლებული ქალის ინტერესებს სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" იცავდა.

ასპინძაში ცოლის მკვლელობის ბრალდებით ქმარი დააკავეს. შსს-ს ცნობით, მკვლელობის შემდეგ ბრალდებულმა ერთ-ერთ პირს თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა. სამხრეთის კარბიჭის ცნობით, ეს იმ ადამიანის მამაა, რომელზეც ბრალდებული ეჭვიანობდა.

ქალთა უფლებები დარღვევის ეს ფაქტები მაუსის ერთი მოქნევით ი-google-ება. კითხეთ google-ს და რამდენიმე წუთში ჩადრს ჩამოფარებული ქალების დარღვეული უფლებების

კონკრეტულ და გახმაურებულ მაგალითებს გიჩვენებთ.

…

ქალის რეპროდუქციული, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური გადაწყვეტილებების მიმღებ სტრუქტურებში მონაწილეობა, განათლების, დასაქმების, სუფთა გარემოს, სამშვიდობო პროცესში ჩართვის უფლებები საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ისეთივე ხეშელსახები სიბინძურე იყო როგორც ლარაჩეს ქუჩებში ატლანტიკის სუსხიანი ჰავით დანამული ერთმანეთში არეული შემწვარი თევზისა და ნარჩენების სუნი.

ჩვენთან ქალთა უფლებები დაცულია.

ლარაჩე, მაროკო.

ატლანტიკის ოკეანეზე ამოშენებულ მოაჯირზე ზიხარ. წინ გადაშლილ ჩადრს ჩამოფარებულ ქალთა უფლებებს უღიმი. 8 ქვეყანას თვალს უკრავ. „ამ მთის", „იმ მთის" ამბებს ჰყვები და ხვალინდელი უკეთესი დღის იმედით იძინებ.

საქართველო, თურქეთი, იტალია, ტუნისი, შვედეთი, საბერძნეთი, სერბია, მაროკო

„Cinnamon Rolls,Not Gender Roles", YEH ERASMUS+

ლარაჩე, მაროკო, 2018 წელი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებით დასავლეთ საქართველოში 30 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა გენადი მარგველაშვილმა, ქუთაისის მერმა გიორგი ჭიღვარიამ და სოფელ ინჩხურის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნელებმა ქუთაისის მე-5 და 33-ე, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში, ქუთაისში, სრული რეაბილიტაცია 8 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს. მთლიანად, იმერეთის რეგიონში 17 საჯარო სკოლას უტარდება სრული რეაბილიტაცია - სამეგრელოში კი შვიდს. „დასავლეთ საქართველოს 17 სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის ჩვენ 15 მილიონი აშშ დოლარი გვაქვს გამოყოფილი.

რეაბილიტაცია ამერიკის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. საჯარო სკოლები სრულად განახლდება და შეიცვლება მათი ინფრასტრუქტურა. სკოლები აღიჭურვება ახალი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებითა და კაბინეტებით. ათასობით მოსწავლე მომავალ სასწავლო წელს განახლებულ სკოლებში ისწავლის" - აღნიშნა მაგდა მაღრაძემ.

მთლიანობაში, 2018 წელს დასავლეთ საქართველოში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 30 საჯარო სკოლას, რის შედეგადაც სასწავლო გარემო გაუმჯობესდება 15,200 მოსწავლისათვის. დასავლეთ საქართველოში საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 15 მილიონ აშშ დოლარს.

საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შედეგად, დასავლეთ საქართველოში დასაქმდება 1500-მდე მოქალაქე, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას მათთვის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამშენებლო და სარეაბილიტაციო გამოცდილების გაზიარებასა და დამკვიდრებას.

დღემდე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა 44 საჯარო სკოლას მცხეთა-თიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში. მიმდინარეობს 17 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ჯამში საქართველოს რეგიონებში 91 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას და ლაბორატორიებით აღჭურვას ახორციელებს. საჯარო სკოლების რეაბილიტაციას აფინანსებს აშშ-ის მთავრობა, 2013 წლის 26 ივლისს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (MCC) და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული 140 მილიონიანი აშშ დოლარის მეორე კომპაქტის/გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში.

ჯამში საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის კომპაქტიდან 54 მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხაა გამოყოფილი. კომპაქტის მიზანია საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარება, სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ლიკა კაკუშაძე

სპეციალური შეთავაზება პედაგოგებს საოჯახო სასტუმროსგან „LUTREZI/ლუტრეზი" ახალდაბაში

საოჯახო სასტუმრო **„LUTREZI/ლუტრეზი"** მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უნიკალურ საკურორტო ზონაში, ბორჯომის ხეობის დაბა ახალდაბაში, ზღვის დონიდან 790 მეტრზე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი საუკეთესო დასვენებისა და გართობისთვის.

ახალდაბა წიწვოვან და ფართეფოთლოვან ტყეებთან ერთად, მდიდარია თერმული მინერალური წყლებით, რაც ერთნაირად სასარგებლოა როგორც ბავშვებისთვის, ისე - უფროსებისთვის.

მდინარე მტკვრის შენაკად, ნეძვურას ხეობაში განლაგებულია თერმული მინერალური წყლების წყაროები (ბურღილები), რომელთა ტემპერატურაა + 32,5 გრადუსიდან +44,8 გრადუსამდე. მინერალური წყალი გამოიყენება აბაზანების სახით და საუკეთესოა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პროფილაქტიკური თუ დაავადების სამკურნალოდ. ახალდაბა ულამაზესია წლის ყველა დროს - ზამთარ-ზაფხულს და აქ სტუმრობა ყველა სეზონზე შთამბეჭდავია.

ტრანსპორტი ახალდაბამდე - საოჯახო სასტუმრომდე „LUTREZI/ლუტრეზი"

თბილისიდან ახალდაბამდე, დაახლოებით 1საათი და 30 წუთი სჭირდება მიკროავტობუსით მგზავრობას. თითქმის ანალოგიური დროა საჭირო ქუთაისიდან ახალდაბამდეც. ხოლო ახალდაბიდან ბორჯომში სამგზავროდ - 15 წუთი საკმარისია.
საოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი" ახალდაბის ცენტრში, რუსთაველის შესახვევი #19-ში, ე.წ. სკოლის უბანში მდებარეობს და ადგილზე სასიამოვნო, მყუდრო და თბილი ოჯახური გარემოა შექმნილი: დიდი ულამაზესი ეზო, ჰამაკებით, ფანჩატურითა და ბავშვების გასართობი ადგილით, უფასო "პარკინგი" და ინტერნეტი.

სასტუმრო სახლის მეორე სართული ხისგანაა აგებული და აქ განთავსებულია შუშაბანდი, ერთი სტანდარტული 2-ადგილიანი და ორი 4-ადგილიანი კეთილმოწყობილი ნომერი, რომელთაც აქვთ ერთი საერთო სველი წერტილი დერეფანში. ნომრებში არის კონდიციონერები, ტანსაცმლის საკიდი ან კარადა.

პირველ სართულზე განლაგებულია სამზარეულო, შესაბამისი ავეჯ-ჭურჭელით და სასადილო ოთახი, სადაც დამსვენებლებს თავად შეუძლიათ, მოამზადონ კერძები.

გარდა ამისა, საოჯახო სასტუმროს ეზოშია თანამედროვე ერთსართულიანი 5 ადგილიანი კოტეჯი, აპარტამენტის სტილში, თავისივე სველი წერტილითა და სამზარეულოს მოწყობილობით - გაზი, მაცივარი, სამზარეულოს ონკანი.

საოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი" -ს ერთდროულად მინიმუმ 14-15 სტუმრის მიღების საშუალება აქვს. შესაძლებელია, ასევე, დამატებითი საწოლის გაშლა.
საოჯახო სასტუმროს ქუჩაზე მდებარეობს მრავალპროფილური მარკეტი, სადაც ფასები ბაზრის ფასების შესაბამისია და კომფორტულია ყოველდღიური მოხმარებისთვის.

სასტუმრო სახლთან ძალიან ახლოსაა ნაძვნარი, პარკი, საბავშვო ატრაქციონებით, ასევე - თერმული აბანოები, სადაც ხელმისაწვდომი ფასებია ბანაობისა თუ აბაზანების მიღებისათვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვების გართობისა თუ ფიზიკური აქტივობებისათვის აქტუალურია სასტუმროს მახლობლად მდებარე სტადიონის, სკოლის ეზოსა და საჭიდაო მოედნის გამოყენებაც.
სასტმრო „LUTREZI/ლუტრეზი", ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, რამდენიმე ათეულ მეტრშია ცენტრალურ მაგისტრალთან, საიდანაც ნებისმიერი მიმართულებით მარტივია ტრანსპორტირება.

ახალდაბიდან 15 წუთი სჭირდება ბორჯომში ასვლას, ხოლო 10 წუთი - ხაშურამდე მგზავრობას. სასტუმროს მახლობლად არის როგორც რკინიგზის სადგური, ასევე, ყოველ ერთ საათში მოძრაობს მიკროავტობუსი.(მგზავრობა ბორჯომამდე 80 თეთრია)

Lutrezi
HOTELS & RESORTS
akhaldaba

ნომრების დასაჯავშნად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
599 10 77 94; 577 247711;
ნატო გუბელაძე (სასტუმროს მფლობელი და მენეჯერი)

ელექტრონული ფოსტა:
lutrezi2010@gmail.com; nato2727@gmail.com

ფეისბუქგვერდი:
https://www.facebook.com/GuestHouseLutrezi/

იპოვეთ საუკეთესო და მშვიდი გარემო თქვენი საოჯახო დასვენებისთვის ახალდაბაში!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საოჯახო სასტუმროში
"LUTREZI/ლუტრეზი"!

საოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი", სურვილის შემთხვევაში, დამატებითი სერვისის სახით გთავაზობთ ასევე, ახლომდებარე კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, პიკნიკს მდინარე ნეძვურას ხეობაში, თევზაობას, კვადროციკლით თუ ცხენებით გასეირნებას, ადგილობრივი, ტრადიციული კულინარიის მასტერკლასებს, ღვინის დეგუსტაციებს და საინტერესო თავგადასავლებს ბუნებაში!
ჩვენი სტუმრები როგორც უცხოეთიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ყოველთვის აღფრთოვანებულები რჩებიან ახალდაბის ბუნებით და „LTREZI/ლუტრეზი"- ს მასპინძლობითა და სტუმართმოყვარეობით!

ჩვენს სასტუმროში არსებული კომფორტი და მომსახურება ბევრად მეტი ღირებულებისაა, რისი გადახდაც მომხმარებელს უწევს. შესაბამისად მომსახურების ფასები ხელსაყრელი და მისაღებია დამსვენებელთათვის. ჩვენი ეს შეთავაზება კი სპეციალურად პედაგოგებისთვისაა და გარკვეული ფასდაკლებაც უკვე გათვალისწინებულია ფასში:
ერთი პერსონის ღამისთევისა და მომსახურების ღირებულებაა 20 ლარი, კვების გარეშე. (დამატებითი ხარჯი არ არის საჭირო სასტუმროს საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას, როგორიცაა, მაგ: სარეცხი მანქანა, უთო,ფენი ან სხვა.)

ბავშვები სამ წლამდე, რომელთათვისაც დამატებითი საწოლის გაშლა არ არის საჭირო - უფასოა...

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასტუმროში არსებული ნომრების ფასები ასეთია:
ორადგილიანი ნომერი მეორე სართულზე(რომელშიც დგას ორსაწოლიანი ტახტი)- **40ლარი;**

- **ოთხადგილიანი ნომერი მეორე სართულზე** (რომელშიც დგას ორი ერთსაწოლიანი საწოლი და ერთი ორსართულიანი საწოლი) – **80ლარი;**
- **ოთხადგილიანი ნომერი მეორე სართულზე** (რომელშიც დგას ორი ერთსაწოლიანი საწოლი და ერთი ორსართულიანი საწოლი) – **80ლარი;**

შენიშვნა:
12 კაციანი ჯგუფის შემთხვევაში, მეორე სართულზე არსებულ შუშაბანდში შესაძლებელია ასევე დამატებითი საწოლის გაშლა ორი პერსონისთვის, რომელიც შეგვიძლია უფასოდ შემოგთავაზოთ, სპეციალურად თქვენი პედაგოგებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ანუ მეორე სართულზე 12 ადამიანის განთავსების ჯამური ღირებულება იქნება იგივე, რაც 10 კაცის ღირებულებაა რეალურად - 200 ლარი დღეში. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ერთ ადამიანს მოუწევს 17 ლარი დღეში.

- **აპარტამენტის სტილის 5 ადგილიანი კოტეჯი,** (რომელშიც დგას ერთი ორსაწოლიანი ტახტი, ერთი ორსართულიანი საწოლი და ერთი გასაშლელი დივანი) თავისივე სველი წერტილით და სტუდიო-სამზარეულოთი - ღირს **100ლარი დღეში.**

შენიშვნა:
- **ეს სპეციალური შეთავაზების ფასები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამსვენებელი მინიმუმ 7 დღით რჩება საოჯახო სასტუმროში.**

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵃ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**